სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

05 ივლისი 2024

N 343/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის 86 400 ტონიდან 168 000 ტონამდე გაზრდა) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ევროცემენტის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში არსებული ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (წარმადობის 86 400 ტონიდან 168 000 ტონამდე გაზრდა) სკრინინგის განცხადება.

2018 წლის 12 ივლისს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-551).

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმო მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში და ნაცვლად გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული შპს „ევროცემენტის“ საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა (ს/კ: 67.08.32.001; ფართობი 35 000 მ^2), მოწყობილია კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 67.08.32.002; ფართობი 20 000 მ^2). საწარმოს ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით, 500 მეტრის რადიუსში, ესაზღვრება მეცხოველეობის ფერმები, ხოლო ჩრდილოეთით, დაახლოებით 520 მეტრში ფუნქციონირებს შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმო. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი, მიედინება საწარმოს ტერიტორიიდან დაახლოებით 400 მეტრში.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ევროცემენტის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, რის საფუძველზეც საწარმოში გამოვლენილ დარღვევებზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 57^1-ე მუხლისა და 79^8-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №056586 და №056586 ოქმები, რომლებიც ადმინისტრაციული წარმოების მასალებთან ერთად, განსახილველად გადაეგზავნა გორის საქალაქო სასამართლოს. სასამართლოს 2020 წლის 20 იანვრის №4/12-20 დადგენილებით, კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ჩამდენად და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით, ასევე, გარემოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ 2021 წელს კომპანიის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება, სადაც ასევე ასახული იყო 2019 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების გამოსწორების შესახებ ინფორმაცია და დაგეგმილი ცვლილებები არ დაექვემდებარა გზშ-ს. აღსანიშნავია, რომ შპს „ევროცემენტის“ მიერ 2021 წლის 6 დეკემბერს წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში გათვალისწინებული იყო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის ცვლილება, კერძოდ, საწარმოში ცემენტის წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, ნაცვლად გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული დახურული, ოთხივე მხრიდან კედლების მქონე კაპიტალური ნაგებობისა, ხორციელდებოდა გოფრირებული თუნუქის სანახევროდ შემოფარგლულ ნაგებობაში და რკინა-ბეტონის კოლონებსა და რკინის ბოძებს შორის არსებული ფართობის შევსება დაგეგმილი იყო გოფრირებული თუნუქის ფურცლებით, ნაცვლად რკინა-ბეტონის კონსტრუქციისა. შესაბამისად, ვინაიდან, კომპანია გეგმავდა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის ცვლილებას, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა 2021 წლის 21 დეკემბრის №14139/01 წერილით და შპს „ევროცემენტს“ ეცნობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შესაცვლელად „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლით დადგენილი წესისა და მოთხოვნების შესახებ. აღსანიშნავია, რომ მითითებული მუხლის საფუძველზე, კომპანიას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობის შესაცვლელად სააგენტოსთვის არ მოუმართავს. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ 2023 წლის 24 აგვისტოს შპს „ევროცემენტის“ მიერ სააგენტოსთან შეთანხმდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი, სადაც საწარმოს ტერიტორიად კვლავ განხილულია 67.08.32.001 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი, რაც არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია 18 ტ/სთ წარმადობის ბურთულებიანი საფქვავი წისქვილი და მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე შეტანილი კაზმი იყრება სამი მხრიდან კედლების მქონე ზემოდან გადახურულ ნაგებობაში, ხოლო მეოთხე მხარეს ფუნქციონირებს გორგოლაჭებზე მოძრავი კარი. სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის აღნიშნული ნაგებობის გზშ-ის ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ნაგებობასთან (დახურული, ოთხივე მხრიდან კედლების მქონე კაპიტალური ნაგებობა) შესაბამისობის შესახებ ინფორმაცია. ობიექტის სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით (წელიწადში 300 დღე, დღე-ღამეში 16 საათი), საწარმოში ხორციელდება 86 400 ტონა სხვადასხვა მარკის ცემენტის წარმოება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოს სამუშაო რეჟიმის უცვლელად, დაგეგმილია ობიექტის წარმადობის 86 400 ტონიდან 168 000 ტონამდე გაზრდა. ამასთან, გზშ-ის ანგარიშით განსაზღვრული 7 სილოსის ნაცვლად, საწარმოში მოწყობილია 4 სილოსი და წარმოებული პროდუქცია გაიცემა მხოლოდ ცემენტმზიდებით. გარდა ამისა, საბაზისო პროექტით, ცემენტის წარმოება გათვალისწინებული იყო საწარმოში შეტანილი კაზმის დაფქვით, ხოლო დაგეგმილი ცვლილებით, კაზმის ნაცვლად მოხდება ობიექტზე ცემენტის წარმოებისთვის საჭირო ნედლეულის ინგრედიენტების (კლინკერი, ღორღი და სხვა დანამატები) შეტანა და წისქვილის ბუნკერში დოზირებულად ჩაყრა.

აღსანიშნავია, რომ სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილ საწარმოს გენგეგმასა და ექსპლიკაციაზე დატანილი ინფრასტრუქტურული ობიექტები არ შეესაბამება shp ფაილებში ასახულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებს. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ნაცვლად გზშ-ის ანგარიშსა და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში განხილული 1 200 მეტრისა, საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 640 მეტრით. გარდა ზემოაღნიშნულისა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ობიექტის ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 170 მეტრში განთავსებულია შპს „სამშენებლო ჯგუფი ვიქტორიას“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 67.08.40.023), რომელზეც ფიქსირდება სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები, თუმცა, აღნიშნულის შესახებ დოკუმენტში ინფორმაცია მოცემული არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ცემენტისა და არაორგანული მტვრის წარმოქმნას და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე, აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, ბურთულებიანი საფქვავი წისქვილის პარამეტრები და გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები იყო: აირის მოცულობითი ხარჯი 8 000 მ^3/სთ, მტვრის კონცენტრაცია გაწმენდამდე 28 გ/მ^3 და მტვერდამჭერის ეფექტურობა 99,9%, ხოლო სკრინინგის განცხადების თანახმად, იგივე წყაროს – ბურთულებიანი საფქვავი წისქვილის პარამეტრებია: 1 656 მ^3/სთ, მტვრის კონცენტრაცია გაწმენდამდე 300 გ/მ^3, ხოლო მტვერდამჭერის ეფექტურობა 99,9%. აღნიშნული პარამეტრების ცვლილებით, მოწყობილობების და დანადგარების საპასპორტო მონაცემების არარსებობის პირობებში, შეუძლებელია რეალური მაჩვენებლების შეფასება, რაც პროპორციულად ახდენს გავლენას ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების სისწორეზე. ამასთან, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით დაგეგმილია საწარმოს წარმადობის თითქმის გაორმაგება (86 400 ტონიდან 168 000 ტონამდე გაზრდა), ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით ობიექტის სიახლოვეს (დაახლოებით 170 მეტრი) ასევე ფიქსირდება სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები, საწარმოს ექსპლუატაცია, შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, დაკავშირებული იქნება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას, მათ შორის, გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების პირობებში ობიექტზე შეზიდული ნედლეულისა და მზა პროდუქციის ტრანსპორტირებით მოსალოდნელი ზემოქმედების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ხმაურის ერთადერთ სტაციონარულ წყაროდ განხილულია ბურთულებიანი საფქვავი წისქვილი. დოკუმენტში მითითებულია, რომ 2021 წელს წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, გათვლები განხორციელდა ხმაურის წარმომქმნელი წყაროდან 500-მეტრიანი და 870-მეტრიანი რადიუსის ფარგლებში, რა დროსაც მიღებული სიდიდეები არ აჭარბებდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, თუმცა, დოკუმენტში ხმაურის გავრცელების გაანგარიშება მოცემული არ არის. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, 2021 წლის 6 დეკემბერს საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყდა.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ნაცვლად გზშ-ის ანგარიშში შეფასებული 1 200 მეტრისა, ობიექტის ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 640 მეტრით, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით საწარმოს მიმდებარედ (დაახლოებით 170 მეტრი) ფიქსირდება სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარები. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება საჭიროებს დამატებით შესწავლას და შეფასებას, მათ შორის, გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადებისა და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით.

სკრინინგის განცხადებაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, მოცემული არ არის საწარმოს წყლით მომარაგების და ჩამდინარე წყლების შემდგომი მართვის შესახებ ინფორმაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმო არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, გაზრდილი წარმადობისა და შესაძლო კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედების მნიშვნელოვნად გაზრდა, რაც საჭიროებს სათანადო შესწავლას და შეფასებას. ამასთან, დასაზუსტებელია საქმიანობასთან დაკავშირებული რიგი საკითხები.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევში შპს „ევროცემენტის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (წარმადობის 86 400 ტონიდან 168 000 ტონამდე გაზრდა) **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ევროცემენტი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8 მუხლის შესაბამისად, უზრუნველყოს სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ევროცემენტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ევროცემენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და კასპის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/343-21-4-202407051520